



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 აპრილი 2024



N 196/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-თორთუმის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-თორთუმის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2020 წლის 21 სექტემბრის, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-თორთუმის“ გაყვანასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-837).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-თორთუმის“ გაყვანა დაგეგმილია ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის საერთო სიგრძე იქნება 150 კმ (ქვესადგურ „თორთუმამდე“), საიდანაც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის 36 კმ სიგრძის მონაკვეთი, რომელიც განთავსდება 98 საყრდენზე. ეგზ დაიწყება ქვესადგურ „ახალციხე 500“-დან, გაივლის საპროექტო ეგზ „წყალტუბო-ახალციხის“ დერეფნის პარალელურად (ქვედა ნიშნულზე), გადაკვეთს მდ. ფოცხოვს და შემდგომ, დაბა ვალესა და სოფ. არალს შორის არსებული დაუსახლებელი ტერიტორიის გავლით, გაგრძელდება თურქეთის საზღვრის მიმართულებით, სადაც დაუერთდება ქვესადგურ „თორთუმს“. ეგზ-ის საწყისი და ბოლო წერტილის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე) GPS კოორდინატებია: X-342703; Y-4618729; X-317696; Y-4606403.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, დაგეგმილია საპროექტო ეგზ-ის დაახლოებით 25 კმ-იანი მონაკვეთის (საბაზისო პროექტის ნუმერაციით: №21 საყრდენიდან №98 საყრდენამდე; ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ნუმერაციით: AP 12 საყრდენიდან AP 37 საყრდენამდე) მიმართულების ცვლილება და მითითებულ მონაკვეთზე გათვალისწინებული საყრდენების რაოდენობის შემცირება. ამასთან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, დაზუსტდა საპროექტო მონაკვეთისთვის გათვალისწინებული ახალი მისასვლელი გზების საერთო სიგრძე. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი ეგზ-ის საპროექტო მონაკვეთის უახლოესი საყრდენიდან (AP 13A) დაშორებულია დაახლოებით 107 მეტრით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო მონაკვეთი დაიწყება AP 12 საყრდენიდან და დასრულდება AP 37 საყრდენთან (საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატები: X-335905 Y-4618634; X-317800 Y-4606660).

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის თანახმად, საპროექტო მონაკვეთის შეცვლილი დერეფანი ხვდება გზშ-ის ეტაპზე შესწავლილ არეალში. კერძოდ, AP 12 საყრდენიდან AP 13A საყრდენამდე (სიგრძე დაახლოებით 2,2 კმ) ეგხ-ის დერეფანი გადაინაცვლებს სამხრეთის მიმართულებით და საბაზისო პროექტით გათვალისწინებული მონაკვეთიდან მაქსიმალური დაშორება იქნება დაახლოებით 200 მეტრი. აღნიშნული მონაკვეთის ძირითადი ნაწილი, გაივლის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ მდელოებსა და კლდოვან გრუნტებზე, სადაც მცენარეული საფარი მწირია. AP 13A საყრდენიდან AP 20 საყრდენამდე (სიგრძე დაახლოებით 8,4 კმ) ეგხ-ის დერეფანი თითქმის სრულად გაიმეორებს საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ დერეფანს (შეიცვლება 0-დან 15 მეტრის ფარგლებში) და აღნიშნულ მონაკვეთზე მხოლოდ მცირედით დაკორექტირდება საპროექტო საყრდენების ადგილმდებარეობა. AP20 საყრდენიდან AP31 საყრდენამდე (სიგრძე შეადგენს 8,5 კმ-ს) ეგხ-ის დერეფანი ძირითადად შეიცვლება საწყის და ბოლო უბნებზე (დაახლოებით 1,5 კმ) და საბაზისო პროექტით გათვალისწინებული მონაკვეთიდან მაქსიმალური დაშორება იქნება დაახლოებით 100 მეტრი. AP31 საყრდენიდან AP37 საყრდენამდე (დაახლოებით 5,9) ეგხ-ის საწყისი მონაკვეთი (AP31-დან AP31/6-მდე) გადაინაცვლებს სამხრეთის მიმართულებით, საბაზისო პროექტით განსაზღვრული მონაკვეთიდან არაუმეტეს 250 მეტრით, ხოლო ბოლო მონაკვეთი (AP31/6-დან AP37-მდე) თითქმის სრულად გაიმეორებს საბაზისო პროექტით გათვალისწინებულ დერეფანს. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული მონაკვეთისთვის (AP 12 საყრდენიდან საყრდენიდან AP 37 საყრდენამდე) ნაცვლად გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 78 საყრდენისა, განთავსდება 71 საყრდენი, ხოლო მოსაწყობი ახალი მისასვლელი გზების საერთო სიგრძე იქნება 7,6 კმ, რომლის ფართობი, გზების 5 მეტრიანი სიგანის გათვალისწინებით, იქნება 3,8 ჰა. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში უცვლელი დარჩება საპროექტო საყრდენების და საძირკვლების ტიპები და ეგხ-ის სხვა ტექნიკური მახასიათებლები, ასევე, ეგხ-ის გაყვანისთვის გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ასევე, მისასვლელი გზების ვერტიკალური გეგმარებისთვის, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება მშენებლობაში ჩართული ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების, ასევე, ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში ჩატარდა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, რომლებიც მოიცავდა საველე, ლაბორატორიულ და საოფისე სამუშაოებს. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების თანახმად, გამოკვლეული დერეფანი სტაბილურია და საშიში გეოლინამიკური პროცესების განვითარების რისკები მინიმალურია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, თუმცა, წარმოდგენილი საერთო ფართობიდან (2 155 676 მ²) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 127

198 მ² ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში (ადიგენის სატყეო უბნის ადიგენისა და წახანის სატყეო და ახალციხის სატყეო უბნის სვირის სატყეო). სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კორესპონდენციის შესაბამისად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითარგებლობის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ეგბ-ის საპროექტო მონაკვეთის დერეფანი გაივლის საბაზისო პროექტის ფარგლებში შესწავლილ არეალს, სადაც გზშ-ის ეტაპზე განხორციელდა შესაბამისი კვლევები და განისაზღვრა სათანადო პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით არ იზრდება სამშენებლო სამუშაოების მოცულობა და მასშტაბი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი ცვლილებები არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ეგბ-ის საპროექტო მონაკვეთი ემთხვევა გზშ-ის ეტაპზე ჩატარებული კვლევების ფარგლებში შესწავლილ არეალს და ამასთან, არ იზრდება პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების მასშტაბი, დაგეგმილი ცვლილებები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 400 კვ ძაბვის ერთჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ახალციხე-თორთუმის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 21 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-837) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაგეგმილი საქმიანობა შეათანხმოს სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
4. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთვის“ ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2020 წლის 21 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-837) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მისი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ადიგენის და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

